

Bela Durglishvili

ბელა დურგლიშვილი

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

Literary Reception in Simon Berezhan's Poetry **ლიტერატურული რეცეფცია სიმონ ბერეჟიანის პოეზიაში**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10941>

The work shows how the fate of the era was transformed, as if through the prism of Simon Berezhan's personal life and creativity. It was emigration that turned out to be time and space, a dimension that confirmed the writer's national identity.

Simon Berezhan managed to overcome the vanity of existence and carry out national literary codes through the most complex political and historical formations.

The basis of Simon Berezhan's literary heritage is historical and gospel microcircuits, on which poetic reflections appear. The poet, with intense nostalgia and pain, creates an emotional and memorable linguistic-expressive space, in which verbal connotations reflecting the Georgian geographical landscape firmly imprinted in consciousness take a firm place.

Keywords: Simon Berezhan; National literary codes

საკვანძო სიტყვები: სიმონ ბერეჟიანი, ეროვნული ლიტერატურული კოდები

სიმონ ბერეჟიანის ლიტერატურულ ოდისეაზე ფიქრისას დიდი გალაკტიონის სიტყვები გვახსენდება საქართველოს ქარიშხლიანი წარსულისა და პოეზიის ქარიშხლიანი წარსულის გათანაბრების შესახებ. ეპოქის ბედისწერა გარდატყდა თითქოს სიმონ ბერეჟიანის პირადი ცხოვრებისა და შემოქმედების პრიზმაში. მისი ლექსები იმ დრამატული ცხოვრების ანაბეჭდებად წარმოჩნდება, რომელიც ნიჭიერმა და მრავალმხრივ მოღვაწე შემოქმედმა სამშობლოდან შორს გაატარა და სწორედ ემიგრაცია აღმოჩნდა ის დრო და სივრცე, ის განზომილება, რომელმაც დაადასტურა მწერლის ნაციონალური იდენტობა, მისი პერსონის მდგრადობა და დამოკიდებულება ეროვნული თვითმყოფადობისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ სიმონ ბერეჟიანის შესახებ ბევრი დაწერილა, მისი პიროვნება და შემოქმედება დღემდე იწვევს დიდ ინტერესს, როგორც ორ სამყაროს შორის მდგარი კულტურული ხიდისა და მაკავშირებლისადმი. უფრო და უფრო მიმზიდველი და ძვირფასი ხდება იმ ადამიანის სახე, რომელმაც ყოფიერების ამაოებაზე ამაღლება შეძლო და ურთულეს პოლიტიკურ და ისტორიულ ფორმაციებში გამოატარა ეროვნული ლიტერატურული კოდები. მისი ცხოვრება და შემოქმედება ხომ რეალურად განასახიერებს დიდი რუსთველის სიტყვებს, სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსაო.

სიმონ ბერეჟიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის რეცეფციული საფუძველი ისტორიული და სახარებისეული მიკროსქემებია, რომლებზეც აღმოცენდება პოეტური განაზრებანი. პოეტი მძაფრი ნოსტალგიურობისა და ტკივილის თანხლებით ქმნის ემოციურ და სამახსოვრო ენობრივ-

გამომსახველობით სივრცეს, რომელშიც მყარ ადგილს იჭერენ მშობლიური სანახების, ბავშვობის ასოციაციების, ცნობიერებაში მყარად ჩაბეჭდილი ქართული გეოგრაფიული ლანდშაფტის ამსახველი სიტყვიერი კონოტაციები.

შემთხვევით არ უწოდა ასევე ემიგრანტმა პოეტმა და მოაზროვნემ გიორგი ყიფიანმა სიმონ ბერეჟიანს სახელად „ხელოვნების რაინდი“: „მწარეა წუთისოფელი, მკყობელმა არვინ დაინდო, კალმით იმარჯვე ფარ-ხმალი, შენ-ხელოვნების რაინდო!“, მზის ნამსხვრევად რჩება, მართლაც, სიმონ ბერეჟიანის „გული გონების საუნჯე, ბურუსით დაუნისლავი“ (ბერეჟიანი, 1982, გვ 8).

სიმონ ბერეჟიანი, როგორც პარიზში ქართული პატრიოტული ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი, ამ ორგანიზაციის გაზეთის ფურცლებზე ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს. სწორედ ამ გაზეთში 1926 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ლექსში „თეთრი ხომალდი“ იხსენებდა სამშობლოდან უმაღლესი განათლების მისაღებად წამოსვლას - სავსეს იმედით და ოცნებებით

*„თეთრი ხომალდი, დატვირთული ნორჩ იმედებით,
მოშორდა ნაპირს, დიდ წინაპართ წმინდა საფლავებს.
გზებს გვიქარგავდა ოკეანე ლურჯ ხავერდებით
და ცივ ზვირთებში გვინათებდა ზეცა ვარსკვლავებს“.*
(№1. 25. 08. 1926)

ახლაც ეს იმედი აცოცხლებდა:

*„და თუმცა მამულს აოხრებულს, მიგდებულს ობლად
ჩვენ სამარცხვინოდ, ბინძურ ქუსლის ნაკვალი აზის,
მაგრამ მე მჯერა, რომ მომავალს სანუგეშებლად
მოველინება თამარის მზე და ჯვარი ვაზის.
გამოეშლება მოთმინების მკვირცხლი ჩახმახი
(წინაპართ აჩრდილთ ჩრდილოეთის ქარი აჯავრებს):
წამოიჭრება საფლავიდან პატარა კახი,
იმიშვლებს მახვილს და დარაზმავს საომრად ჯარებს“.*
(№1. 25. 08. 1926)

პოეტის სულიერი თავგადასავალი თითქოსდა სამშობლოდან, მამის წიაღიდან გადახვეწილი მის უკან დაბრუნების მძლავრი სურვილის ილუსტრაციაა და მისი ლექსები მართლაც იქცევა მისივე სულის ანაბეჭდებად.

ლექსში „ნასახლარი“ სამშობლოს ხატება თითქოს უმშვენიერეს ასულთანაა გაიგივებული, რომელსაც ორ ნაწნავად გადმოუკვცია „ვარჩის კაბაზე მტკვარი, რიონი“ (ბერეჟიანი, 1982, გვ.11). გამუდმებული ნოსტალგიით სავსე სული ქარს გაყოლილი ეწვევა თითქოს მშობლიურ ადგილს, რომელიც ნასახლარად ქცეულა და ისე ეამბორობა ღობეს, ჭიშკარს:

„მე რომ ალვისხედ გავჩენილიყავ, შენთან დარჩენა შემეძლებოდა!“
(ბერეჟიანი, 1982, გვ.11)

შეუძლებელია აქ არ გავიხსენოთ, როგორ ეთხოვება მშობლიური უნივერსიტეტის ეზოში მდგარ ხეს სიმონ ბერეჟიანი. 1920 წელს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ის ათეულობით ნიჭიერ ახალგაზრდასთან ერთად, გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნა. წასვლისას უნივერსიტეტის ეზოში დარგულ ჭადართან მისულა, ხელები შემოუხვევია, უკოცნია და უთქვამს, - როგორ მომენატრები, მაგრამ მალე დავბრუნდებიო, მერე ხელი დაუქნევია და გამომშვიდობებია.

პოეტის ვალისა და მისიის შეხსენება, რომელიც ეროვნული ფესვებიდან ამოიზრდება, იკვეთება ლექსში „მგოსანი“: პოეტის სული არის თითქოს „მაისის ვარდი, ზეცით დარგული და და მორწყული ქართული სისხლით“ (ბერეჟიანი, 1982). მის გულში, მიუხედავად თავისი ღვთაებრივი

წარმომავლობის გაცნობიერებისა, მაინც ღრმავდება შურისძიების წყურვილი ქვეყნის მტრებისადმი. ლექსში ეს პროცესი ერთგვარი კონტრასტით არის წარმოდგენილი:

*„როს დასხდებიან ვარსკვლავები ცაზე იეზად,“
„ვრწყავ გულში გაშლილ მაისის ვარდს შხამით, ბალღამით,
რომ ჩავუნერგო საშინელი შურისძიება.“
(ბერეჟიანი, 1982, გვ.12)*

ამავე ლექსში ისმის აკაკის „ჭაღარას“ გამომახილიც:

*„მხოლოდ სისხლისთვის გიხმობს ჩემი ბუკი–ნაღარა!
ისე არ ჩავალ ცით მოსული ბნელ სამარეში,
თუ არ შევღებე მტრების სისხლით ჩემი ჭაღარა!“*

ლექსის ფინალური აკორდი კი საყოველთაოდ ცნობილი სტროფია:

*„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი
ერის ბრწყინვალე გამარჯვებით მსურს გავიხარო,
თუ საქართველო არ მეყოლა თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო.“
(ბერეჟიანი, 1982, გვ.15)*

სრულიად ნათელია, რომ პოეტისათვის საქართველო როგორც მიკრომოდელი არის ის სარკმელი, რომლის მეშვეობითაც აღიქვამს მთელ მაკროსამყაროს სიმონ ბერეჟიანის ლირიკული გმირი.

პოეტის ფიქრი რომ უკვდავებას, მარადისობას უტრიალებს, ეს გასაკვირი სულაც არაა. ლექსში „მარადისობა“ ავტორისათვის მზის სიმბოლო უკვდავების წყაროდ ქცეულა. მზის ოქროს ისრების სახით იღვრება გულში „სითბო, ალერსი და სიყვარული“ (ბერეჟიანი, 1982, გვ.14). უკვდავების კარიბჭესთანაც კი ლექსის ლირიკულ გმირს პეშვებით შუქთა კრებულის შესმა სწადია, რათა იოლად წარმოიდგინოს, როგორ ჰყვავის მზეზე ვარდი წითელი წინანდალისა. ამ ლექსში მზე – სამყაროს გამათბობელი „ოქროს ტახტია საქართველოსი“. ისტორიული წარსულიდან გამოხმობილი მეფე თამარის სახე – მთვარე კი თითქოს ოქროს დილის დადგომას უწინასწარმეტყველებს და უკვდავებაზე ფიქრს ავთანდილის ლაღი სიმღერა უმარტივებს (ბერეჟიანი, 1982, გვ. 14).

ლექსში „მშვიდობით“ სიმონ ბერეჟიანი კვლავ სამშობლოს ჭაღარა მთებსა და ველებს შენატრის, თუმცა ტკივილით გულგასერილი აცხადებს, რომ ვეღარასოდეს დაუბრუნდება მშობელ მხარეს. მხოლოდ მადლობას სწირავს მზესა და მთვარეს, რომ

*„ძველებურად კობტა ყაზარჩას
ტანზე აცმევენ ჩემს ობოლ მხარეს“
(ბერეჟიანი, 1982, გვ.15)*

ამკარაა, რომ პოეტი სხვა ლირიკული ქმნილებების მსგავსად ამ ლექსშიც ციურ მნათობებს საქართველოს მფარველ და მზრუნველ უზენაეს ძალასთან აიგივებს.

უბედო, განკითხვის დროის ფონზე ავტორი იმითაც ბედნიერად მიიჩნევს თავს, რომ მის მშობელ ქვეყანას ისტორიული გზით, „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ არ შეუჩერებია:

*„ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მიჯნურსა
არ გასცვეთია თამარის ქოში“.*

ამიტომაც ეძლევა საოცარი წინასწარჭვრეტა სულის მკვდრეთით აღდგომისა:

*„ვიცი, ოდესმე თვალებს ავახელ
შენს წინაპართა მუხის აკვანში“.*
(ბერეჟიანი, 1982, გვ.15)

ლექსში „წვიმა“ პოეტი გვიჩვენებს, როგორ გრძელდება მისი სულიერი ოდისეა უცხო ქვეყნიდან სამშობლოსაკენ, სადაც იგი იდეალად ქცეული თამარის ეპოქაში გადადის. ზურმუხტის სასახლის აღმასის გალავანს სამასი ხევსური დარაჯობს, ხოლო ლურჯა ცხენზე ამხედრებული თამარის გვერდით დავით სოსლანისა და შოთა რუსთველის სილუეტებსაც ვხედავთ. მაგრამ წარსულის იდეალიზაციის ეს საოცარი მოვლენა მაშინვე განქარდება, როგორც კი ლირიკული გმირი მიწაზე ფეხს დაადგამს და წარმავლობის უღმობელი ცელით განადგურებულ სურათს ხედავს:

*„შავ ხალიჩებზე დაყრილან მთები,
როგორც დაღლილი გოლიათები“.*
(ბერეჟიანი, 1982, გვ.17)

უზენაესის ხმაც ესმის ავტორს, ეს ხმა აუწყებს, რომ მის მამულს უფალი იცავს და მომავლის იმედი კვლავ აკიაფდება ძველ ნანგრევებზე:

*„დიდი წარსული, ძველი დიდება
განმეორდება, განმეორდება“.*
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 17)

ამ ლექსში განსაკუთრებით გამოიკვეთა, რომ წარსულის ფესვებზე, ეროვნულ ღირებულებებზე აღმოცენდება ღვთაებრივი რწმენა. ამიტომაც აცხადებს პოეტი:

*„და მეც იმ დღიდან ციური ხმები
თან დამაქვს გულში, ვით ბასრი ხმლები“.*
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 17)

პოეტის სანუკვარი ნატვრა ისაა, რომ რწმენის საფუძველზე გადაეცალოს „გოლიათ წარსულს ხავსი და მტვერი“ (ბერეჟიანი, 1982, გვ.17).

ლექსში „უკვდავება“ ჩანს ლირიკული გმირის დიდი იმედი, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი გული და გონება მაინც, თუნდაც მტვრად ქცეული დაუბრუნდება მშობლიურ მხარეს. ყვავილესად განმეორდება და სწამს, რომ „ქარი წაიღებს ჩემს ფერფლს სიმღერით“ (ბერეჟიანი, 1982, გვ.19).

უმძაფრეს ემოციებს აღძრავს ლექსი „გული“, რომელშიც პოეტი თავის გულს მიმართავს:

*„მაგრამ იმ მიწამ, მშვენიერმა, მე რომ გამზარდა,
მითხარ, რა მოგცა, ჩემო გულო, ცრემლების გარდა?“
„და ერის სევდა, ერის ცრემლი, ვით ცხელი ტყვია,
მე დამაქვს გულით და ჭრილობა მძიმე მატყვია.“*
(ბერეჟიანი, 1982, გვ.19)

მიუხედავად ამ დიდი ტრაგედიისა, პოეტი რწმენით აღნიშნავს

„მაგრამ ჯვარცმამიც არის ოხვრაც და ნეტარებაც.“
(ბერეჟიანი, 1982, გვ.19)

მხატვრული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ლექსი „მერცხლის წყევლა“, რომელშიც მოხუცი გადიას დარიგება ცხოვრებისეულ სიბრძნედაა გარდასახული:

*„ნუ ანგრევ , ბიჭო, მერცხლების ბუდეს!
მეუბნებოდა ხშირად გადია,
–თეთრგულა ჩიტი სადღა დაბრუნდეს,
როცა სახლ–კარი არ აბადია...“
„თუ იმედებმა დაიგვიანეს,
გულს ხომ აცოცხლებს მზის სიყვარული,
უძირო ზღვასა და ოკეანეს
როგორც მტკვრის ტალღებს
გავსჭრი მხარულით“ .
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 21)*

კიდევ ერთხელ დასტურდება, თუ რა ძალა აქვს მზის სიმბოლოს პოეტის ოპტიმისტური განწყობისათვის, მაშინაც კი, როცა ყარიბი პოეტი უძღვები ძისაგან განსხვავებით სრულიად მოკლებულია სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივას.

*„შენ მეტყვი: შვილო! თეთრგულა მერცხლებს
ამქვეყნად არ გაქვთ თავშესაფარი!“
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 21)*

დიადი სულნი წუთისოფლად მოგზაურობენ,–ამბობს ჯონ ქიტსი თავის ლექსში „ჰეიდონს“ და ბარათაშვილის გზებით(სულიერ პლანში) მოგზაური პოეტისათვის ასე გამოიხატება მაინც იმედიანი განწყობა ლექსში „მგზავრი“:

*„გამოუგ ზავნის მზე ბნელ ქვეყანას
ახალ რაინდებს, აწყვეტილ რაშებს.“
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 24)*

იმ ქვეყანაში, რომელიც მამინაცვლად ექცა პოეტს, სამშობლო თავისი უმაღლესი სახე-სიმბოლოებით წარმოუდგება და კიდევ ერთხელ აგრძნობინებს სულიერ ტრაგედიას, რომელიც მკაფიოდ იკითხება ლექსში „სამშობლო უცხოეთში“:

*„დამარხეს ჯვარი, ფარხმალი, დროშა
მთელი დიდება ჩვენს წინაპართა.“
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 27)*

და კიდევ მეტი:

*„მე მახსოვს, ზვირთებს დავადე ყური;
მესმოდა: თბილისს ვესროლეთ ტყვია
და დავუარეთ შემდეგ ლეკური.“
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 28)*

რიტორიკულ შეკითხვად გაისმის ლექსის ფინალში ნათქვამი:

*„მე ქართველი ვარ და ზანტი თვალი
ვერ მოვაშორე მოწყენილ სივრცეს
მიყვარს უმიზნოდ გზები სავალი
და მამინაცვალს ნეტა რად მიმცეს?“
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 28)*

არა მხოლოდ მშობლიური სანახები, ქართული მელოდიები სამუდამოდ ჩაკირულა უცხოეთში მყოფი პოეტის სულში და მის სმენას ქართული ხმები არხევეს. ლექსში „ურმული“ სიმონ ბერეჟიანი დიდი ტკივილით აღნიშნავს, რომ არც მძა ამ ქვეყნად, არც მეგობარი ჰყავს და მონატრებით მიმართავს თავის მშვენიერ დედოფალივით წარმოსახულ ქვეყანას: „რა ლამაზი ხარ დედოფალო, როგორი ნაზი“ (ბერეჟიანი, 1982, გვ. 34), ჯაკომო ლეოპარდის „ოდა იტალიისადმი“ გვახსენდება, როცა ისიც მიმართავს თავის სამშობლოს – *იტორე, ჩემო დედოფალო, ო, იტალია*. და მაშინ, როცა ზეცაში „თეთრ ღრუბლებში იხდნენ მოწყენით

ანგელოზები და ღვთისმშობელი, (ბერეჟიანი, 1982, გვ. 33) სწორედ ურმულის ხმა აფიქრებინებს პოეტს:

*„კვლავ იმეფებს ჩემი ქვეყანა
თუ გლოვის ნაცვლად მესმის ურმული.“
„მადლი უფალსა, ამ კუთხის გამჩენს!
ზეცაში ცხოვრობს დიდი მსაჯული;
იმღერე გლებო! ჩვენ გადაგვარჩენს
შენი ჰარალე და კრიმანჭული.“
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 35)*

სიმონ ბერეჟიანი II მსოფლიო ომის დროს გარდაიცვალა. მისი საფლავი, სამწუხაროდ, დაიკარგა. ვიქტორ ნოზაძე იხსენებდა, რომ სიმონიკა ბერეჟიანს, სამშობლოდან მოწყვეტილს, უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველობა კარგად იცნობდა. ყველას უყვარდა და ეს სიყვარული წარმოშობილი იყო მისი გულის ნიჭიდან; მთელი მისი არსება შეპყრობილი და მოჯადოებული იყო სამშობლოს სიყვარულით და ამ სიყვარულის სხივებს ჰფენდა ყველას და ყველაც იმავე გრძნობით უპასუხებდა. ნოზაძის აზრით, იგი გულით ატარებდა საქართველოს და იყო თავდაჯერებული მიჯნური სამშობლოსი. სამშობლოც არ ასვენებდა მას და უამრავ საუკუნეთა განმავლობაში ქართული სისხლით გაჟღენთილი მიწა მოუხმობდა. მას არ შეეძლო მიახლოება, მტერი ფლობდა სამშობლოს და იგი უცხოეთიდან ელოლიავებოდა მას, უგალობდა. ვიქტორ ნოზაძეს, თავად ემიგრანტსა და ქართველი ხალხის მოსიყვარულეს სიმონიკა ქართველი ერის დასაბამიდანვე თანმდევ სულად და ღვიძლ შვილად და მისთვის ფხიზელი მეომრად მიაჩნია.

მართალია, არ ვიცით, თუ საით მიდიან ღრუბლები, მაგრამ ბერეჟიანის მზერა ყველა საზღვარს გადასწვდება და ლექსით „პაემანი მთაწმინდაზე“ მშობელ მიწას მიაშურებს ღრუბლებთან ერთად:

*„ღრუბლებო! ვამბობ ვესტუმროთ
ჩემსა მშობელსა მხარესა,
ზეცაში ყოფნას მირჩვენის,
რომ ვიწვე მის სამარესა“.
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 43)*

და მკითხველის ცნობიერებაში დამკვიდრებული გრიგოლ ორბელიანისეული საქართველოს უნიკალურობისა და ერთადერთობის ფორმულას უზენაესის ისეთი რწმენა ადგას შარავანდედად, რომელიც ყარიბი პოეტისათვის ერთადერთ სულიერ თავშესაფრად უნდა ქცეულიყო:

*„სხვა საქართველო სად არის,
კუთხე, ნაკურთხი უფლისა?!
მთვარე ქათიბსა უკერავს,
მზე ოქრომკედით უვლისა!“
(ბერეჟიანი, 1982, გვ. 45)*

ქართულ პოეზიაში არაერთი პოეტის შემოქმედებაში გახმოვანებული „სხვა საქართველოს“ უკვდავი კონოტაცია სიმონ ბერეჟიანთან განსხვავებულ პოეტურ რიტმს იძენს და სრულიად თავი-

სუფლად მკვიდრდება თავისი ძალმოსილებით. ემიგრაციაში აღსრულებული პოეტის იდეალიც ხომ ისაა, რომ სანატრელ მთაწმინდაზე მვირფას წინაპართა თანავარსკვლავედს შეუერთოს წამებულ სული და პოეტური გულის უკანასკნელი ამოძახილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერეჟიანი, ს. (1982). ლექსები, „მეორე მსოფლიო ომში საქართველოს გასათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ მამულიშვილთა ხსოვნას“, პარიზი.
ნიშნიანიძე, რ. (2005). „საქართველო სამანს აქეთ და სამანს იქით“, თბილისი: „მერანი“.
ნოზაძე, ვ. (2001). „ვეფხისტყაოსნის განკითხვანი“, წიგნი პირველი, თბილისი: „სადარა“.

References:

- Berezhiani, S. (1982). Leksebi, “Meore msoplio omshi Sakartvelos gasatavisuplebel brdzolashi daghup’ul kartvel mamuloishvilt khsovnas”. [Poems, “In Memory of the Georgian Fatherland Sons Who Died in the Battle for the Liberation of Georgia in World War II”]. Paris.
Nishnianidze, R. (2005). Sakartvelo samans aket da samans ikit. [Georgia on the Edge of the Earth and the Edge of the Earth]. Tbilisi: “Merani”.
Nozadze, V. (2001). Vepkhistsq’aosnis gank’itkhvani. Ts’igni p’irveli. [“The Judgments of the Knight in the Panther’s Skin”, Book One]. Tbilisi: “Sadara”.